



**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს გადაწყვეტილება
ძ. თბილისი**



MES 2 20 0000679094



11/08/2020

**შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ფინანსების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის
აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე**

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში აკრედიტაციის დებულების) 27² მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ამავე დებულების 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“,

1.3. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, აკრედიტაციაზე უარის თქმის შემთხვევაში:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება კარგავს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მიღების უფლებას;

ბ) ის სტუდენტი, რომელიც სწავლობდა სახელმწიფო დაფინანსებით, უფლებამოსილია გადავიდეს სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების დარჩენილი ოდენობა გადაიტანოს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება წყვეტს რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას. ამ შემთხვევაში სტუდენტებს 5 წლის განმავლობაში უჩერდებათ სტუდენტის სტატუსი და უფლებამოსილი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 12 მარტს შპს ქუთაისის უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №519 (ცენტრში რეგისტრაციის №298378; 13.03.2020) სააკრედიტაციო განაცხადი „ფინანსების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისათვის.

2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 2 აპრილს თებერვლის №326916 ბრძანების საფუძველზე, შპს ქუთაისის უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 4 მაისის №361320 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 20 მაისს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი შპს ქუთაისის უნივერსიტეტში, ხოლო 2020 წლის 7 ივლისს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 24 ივლისს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ, პირველი, მეორე და მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ კენჭისყრის შედეგად, ათი ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვეტა:

1. უარი ეთქვას დანართი №1-ით გათვალისწინებულ შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ფინანსების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2020 წლის 10 აგვისტოს MES 7 20 0000678559 სხდომის ოქმის №2 ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) ფინანსების მაგისტრატურის პროგრამის სწავლის შედეგების უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსები - „სასწავლო პრაქტიკა“ და „სამაგისტრო ნაშრომი“ გადატანილი იქნას ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებში და განისაზღვროს კურსებზე დაშვების ლოგიკური წინაპირობები;

ბ) მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი საგნების ინტეგრაცია და გამოთავისუფლებული კრედიტების ხარჯზე დაემატოს სასწავლო კურსები, რომელთა სწავლება აუცილებელია პროგრამის მიზნების მისაღწევად;

გ) განისაზღვროს სასწავლო კურსებზე დაშვების ლოგიკური პირობები. არ შეიძლება საგნებიდან, რომლებიც ერთსადაიმდევე სემესტრში ისწავლება, ერთი იყოს მეორეზე დაშვების წინაპირობა;

დ) მოხდეს, სასწავლო კურსების „ფინანსური აღრიცხვა“, „ბუღალტრული ანგარიშგება“ და „მმართველობითი აღრიცხვა გადაწყვეტილებების მისაღებად“ მეტი პრაქტიკული კომპონენტებით დატვირთვა და სწავლების პროცესში რომელიმე ბუღალტრული პროგრამის (სოფთის) ჩართვა;

ე) დაწესებულებამ მეტი ყურადღება დაუთმოს სამაგისტრო ნაშრომების თემების მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობას, სტუდენტთა მიერ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულ კვლევებსა და გამოყენებულ ლიტერატურას;

ვ) დაწესებულებამ უზრუნველყოს სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდების და აქტივობების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის

დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანების შესაბამისად ფორმულირება;

ზ) სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა უფრო მეტად უნდა შეესაბამებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ მისანიჭებელ სპეციალობას;

თ) დაწესებულებამ უზრუნველყოს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებად შესაბამისი სპეციალიზაციის მქონე პერსონალის შერჩევა;

ი) დაწესებულებამ უზრუნველყოს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების გადამზადება და ტრენინგი სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისა და ხელმძღვანელობის მიმართულებით;

კ) აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისთვის მხარდაჭერის მიზნით საჭიროა შესაბამისი ფინანსური რესურსის გამოყოფა;

ლ) პროგრამის ფინანსური მდგრადობის ადეკვატურად შეფასების მიზნით, სასურველია დაწესებულების ადმინისტრაციამ პროგრამის დაფინანსების ყველა წყარო სრულად ასახოს პროგრამის ბიუჯეტში;

მ) მიზანშეწონილია პროგრამა გადიდრდეს უცხოური (ინგლისური) ლიტერატურით;

ნ) მიზანშეწონილია პროგრამაზე უკეთ ისწავლებოდეს ბიზნეს პროცესები, დაემატოს IFRS სტანდარტები პროგრამის რელევანტურად, ასევე საგანი საგადასახადო პოლიტიკა მიზანშეწონილია არჩევით საგნებში იქნას გადატანილი. მნიშვნელოვანია სტატისტიკის გარკვეული საკითხების დამატება. ასევე, პროგრამას დაემატოს საგანი ბიზნესის შეფასება ფინანსების კუთხით;

ო) მიზანშეწონილია პროგრამის ყველა საგანი გადიდრდეს პრაქტიკული მაგალითებით.

4. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 10 აგვისტოს.

5. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის

საბჭო

საბჭოს თავმჯდომარე

ბურდული ირაკლი




უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების

აკრედიტაციის საბჭო

სხდომის მდივანი

ტუფინაშვილი თამარ



№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	ფინანსები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი ²	ავტორიზებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 3 ივლისის N136 გადაწყვეტილება; ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 71; 24.09.2018
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება ³	ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმე
6	უმაღლესი განათლების საფეხური ⁴	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე ⁵	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფინანსების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით ⁶	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა
12	კვალიფიკაციის კოდი ⁷	
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი ⁸	საქართველო, ქუთაისი 4600, წერეთლის ქ. N 13.
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 10 აგვისტო
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის	

¹ დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

² ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

³ საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

⁴ ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

⁵ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

⁶ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁷ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/5) შესაბამისი კოდი

⁸ ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

	წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა ⁹	
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	

⁹ საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში